

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა
ქარხანა) გაცემული გარემოსდაცვითი
გადაწყვეტილების ექსპლუატაციის პირობების
ცვლილების

სკრინინგის ანგარიში

2023 წელი

სარჩევი:

1. შესავალი.....	3
2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი.....	4
3. ინფორმაცია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ (საქმიანობის მახასიათებლები, მათ შორის საქმიანობის მასშტაბი).....	7
3.1. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება.....	10
4. საქმიანობის განხორციელების ადგილი.....	16
4.1. საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა.....	18
5. საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....	21
5.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	22
5.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	25
5.3. წყლის გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....	27
5.4. ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	28
5.5. სატრასპორტო გადაზიდვებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	30
6. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი.....	33
7. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება.....	34
8. ზემოქმედების შესაძლო ხარისხი, კომპლექსურობა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (გზშ-ის) პროცედურის ჩატარების მნიშვნელობის განსაზღვრა.....	36
9. დანართები.....	37

1. შესავალი:

შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება მეტალურგიული წარმოება, რაზედაც 2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია №11 (27.02.2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №000035 (29.02.2012) გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 30/05/2019 წელს გაცემულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N N 2-462).

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (გზდ) უფროსის 2022 წლის 25 ოქტომბრის №DES62200000309 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის (ს/კ 404882383) კუთვნილ მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხანა), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 30 მაისის №2-462 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 27 თებერვლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

გზდ-ს შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიამ დაარღვია გზშ-ს ანგარიშის და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობები. მათ შორის დადგინდა, რომ შპს „ჯი თი ემ გრუპ“-იმ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით დადგენილი პროცედურის გავლის გარეშე განახორციელა - მანგანუმის შემცველი წიდის ტექნოლოგიურ პროცესში (ნედლეულად) გამოყენება და საწარმოში ავტოტრანსპორტის ტექნომსახურების უბანის მოწყობა, რაც არ იყო გათვალისწინებული შესაბამისი გზშ-ს ანგარიშით.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 29 ივნისის N003191 ადმინისტრაციული მიწერილობით შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის სხვადასხვა ვალდებულებებთან ერთად განესაზღვრა - **დაუყოვნებლივ შეწყვიტოს** მანგანუმის შემცველი წიდის ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენება და საწარმოს ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის ტექნომსახურება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურის გავლამდე.

გზდ-ს ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულების საფუძველზე, შპს „ჯი თი ემ გრუპ“-იმ შეაჩერა მანგანუმის შემცველი წიდის ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენება და საწარმოს ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის ტექნომსახურება, ხოლო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურის გავლის მიზნით, უზრუნველყო მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხანა) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადების შემუშავება (რომელიც სრულ თანხვედრაშია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან). საქმიანობის განმახორციელებლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ობიექტის გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის და ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ, ასევე ინფორმაციას ექსპლუატაციის პირობის ცვლილებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება (ანგარიში) შედგენილ იქნა შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის არსებული საქმიანობისა და ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ანალიზის, ასევე ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების შეფასების საფუძველზე. სკრინინგის ანგარიში მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ უწყებას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია და მისცეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალება.

საინფორმაციო ცხრილი N1

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ჯი თი ემ გრუპ“ (ს/კ 404882383)
იურიდიული მისამართი	საქართველო, ზესტაფონის რაიონი, ს. არგვეთა
საკონტაქტო ინფორმაცია	ავთანდილ კოჩაძე ტელ: 599 56 38 82
საქმიანობის სახე, კოდექსის შესაბამისად	ფეროშენადნობების წარმოება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა
ინფორმაცია სკრინინგის ანგარიშის მომამზადებლის შესახებ	შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“ მობ: 511 19 19 00 environmental.sc4@gmail.com

2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი:

ევროკავშირის მიერ განსაზღვრული დირექტივების/ვალდებულებების შესრულების ფარგლებში საქართველომ მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე.

კოდექსი მოიცავს ორ (I; II) დანართს, სადაც მოცემულია საქმიანობების ჩამონათალი, რომლებიც საჭიროებენ შესაბამისი გარემოსდაცვითი პროცედურის გავლას. I დანართის შემთხვევაში საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) პროცედურას, ხოლო II დანართის შემთხვევაში – სკრინინგის პროცედურას (გარდა ამ კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა).

ამასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა და საჭიროებს საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ სკრინინგის განცხადების სააგენტოში განსახილველად წარდგენას.

ვინაიდან, შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მიერ დარღვეული იქნა მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხანა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობები და შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობები - შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის დაევა კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლა.

საკანონმდებლო მოთხოვნათა შესაბამისად, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის დაკვეთით შემუშავდა საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება, რომელიც სრულ თანხვედრაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარსადგენი სკრინინგის განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს: ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე; გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

კოდექსის მე-7 მუხლის 4¹ ნაწილის მიხედვით, სააგენტოსთვის წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში.

ვინაიდან საკვლევ რეგიონში არ ფიქსირდება მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობა, ზემოაღნიშნული მოთხოვნის სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინების საჭიროება არ დგას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საწარმო უკვე წლებია განთავსებულია ზესატაფონის მუნიციპალიტეტში, ხოლო განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ გულისხმობს საქმიანობის განხორციელების ადგილის შეცვლას, ტერიტორიის გაფართოებას ან/და ახალი ინფრასტრუქტურული ერთეულ(ებ)ის მოწყობას.

სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ასევე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რომელთა განხილვის საფუძველზე სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;

ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;

ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;

ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;

ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;

ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;

ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;

ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;

ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;

ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;

ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;

ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);

გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:

გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;

გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

კოდექსის შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განმახლორციელებლის ვალდებულება საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს განსახილველად წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება, ხოლო სააგენტოს პასუხისმგებლობაა სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების განხილვის/ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ის პროცედურას.

3. ინფორმაცია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ (საქმიანობის მახასიათებლები, მათ შორის საქმიანობის მასშტაბი):

განსახილველი საწარმოო ობიექტის - შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის საწარმოს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფეროსილიციუმი და ფეროქრომი) ნაღებების დამზადება და რეალიზაცია. საკვლევ საქმიანობაზე 2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია №11 (27.02.2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №000035 (29.02.2012) გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. *ბოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 30/05/2019 წელს გაცემულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-462).*

გზშ-ს ანგარიშისა და ზდგ-ს ნორმების პროექტის შესაბამისად საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ძირითადი ინფრასტრუქტურული ელემენტებია: ადმინისტრაციული შენობა; საღუმელე კორპუსები; ჰაერგამწმენდი სისტემები; სატრანსპორტიორო გალერეა; კაზმის მომზადების უბანი; სატრანსფორმატორო; ღია და გადახურული სასაწყობო ბაქნები; საწარმოს კუთვნილ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ასევე 2 ცალი ნავთობპროდუქტების საცავი რეზერვუარი (994მ³ ჯამური მოც.), სათანადო სტანდარტის ბეტონის შემოზვინვით; საწარმოს შიდა მომარაგებისთვის (ზდგ-ს ნორმების პროექტის შესაბამისად) გააჩნია დიზელის საწვავის ერთი მიწისქვეშა რეზერვუარი (მოცულობით 5მ³), რომელიც მოწყობილია გადახურულ და მობეტონებულ ფართზე. საწარმო სანებართვო დოკუმენტაციის მათ შორის ზდგ-ს ნორმების პროექტის მიხედვით, დახურულ სივრცეში მოწყობილია ასევე წიდის სამსხვრევი დანადგარი, რომელიც ფუნქციონირებს შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში (*ძირითადად წიდის ნატეხები სამსხვრევზე დამუშავების გარეშე მიეწოდება სადნობ განყოფილებას - იხ. ქვეთავი 3.1).*

გზშ-ს ანგარიშის და შესაბამისი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (N11) მიხედვით, საწარმოს სამუშაო რეჟიმი წარმოდგენს უწყვეტ დღე-ღამურ ციკლს (24 სთ), მუშაობის დღეების საერთო წლიური რაოდენობით - 330 დღე. გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ფუნქციონირებს ორი ერთნაირი სიმძლავრის ღუმელები (თითოეულის წარმადობა: ფეროსილიკომანგანუმი - 48 ტ/დღე-ღამეში (15840 ტ/წელ); ფეროსილიციუმი - 30 ტ/დღე-ღამეში (9900 ტ/წელ); ფეროქრომი - 30 ტ/დღე-ღამეში (9900 ტ/წელ); ხოლო ორივე ღუმელის ერთდროულად მუშაობისას შესაბამისად ტოლი იქნება: ფეროსილიკომანგანუმი - 96 ტ/დღე-ღამეში (31680 ტ/წელ); ფეროსილიციუმი - 60 ტ/დღე-ღამეში (19800 ტ/წელ); ფეროქრომი - 60 ტ/დღე-ღამეში (19800 ტ/წელ).

საწარმოო ობიექტის ძირითადი ტექნოლოგიური სქემა გულისხმობს: ფეროშენადნობის გამოდნობისთვის საჭირო ნედლეულის (მანგანუმის მადანი, ქრომის მადანი, კოქსი, კვარციტი, დოლომიტი ან კირვა და რკინის ბურბუშელა) მადოზირებელ ბუნკერის და საკაზმი განყოფილების გავლით, შესაბამისი ლენტური ტრანსპორტიორების მეშვეობით ელექტრო-ღუმელებისთვის მიწოდებას; 1500-1600°C-ზე დნობას; დნობის პროდუქტების შესაბამის ციცხვში ჩამოსხმას; ციცხვიდან თხევადი პროდუქციის სპეციალურ ყალიბებში ჩასხმას; ხოლო გაციებისა და ყალიბებიდან ამოღების შემდგომ ფეროშენადნობების დახარისხებას და

მომხმარებელზე მიწოდებას. როგორც ეს გზშ-ს ანგარიშშია განმარტებული: საკაზმი მასალები საკაზმე განყოფილებაში შემოდის რკინიგზის ტრანსპორტით და საწყობდება შესაბამის სასაწყობე ფართზე; ამის შემდეგ გრეიფელური ამწის მეშვეობით ხდება მათი ჩაყრა შესაბამის ბუნკერში; ბუნკერიდან ლენტური კონვეიერით გადადის ნედლეულის შესაკმაზ განყოფილებაში; სათანადო რეცეპტის-კაზმის მიღების შემდეგომ ნედლეული, ლენტური კონვეიერით მიეწოდება საღუმლე უბანს (ღუმელებში ჩასატვირთი ნედლეულის მასალების ნატეხების ზომები უნდა იყოს 1-80 მმ-ის - ამიტომ აღნიშნული ნედლეული საწარმოში შემოდის უკვე დასორტირებული, შესაბამისი მომწოდებლისაგან); დნობის შედეგად მიღებული პროდუქცია გადადის დნობის პროდუქტების ჩამოსხმის უბანზე და მზადდება რეალიზაციისთვის; თითოეულ ღუმელებში დნობისას წარმოქმნილი მტვრის დასაჭერად საწარმოში გათვალისწინებულია ასპირაციული სისტემა/გაწმენდი სისტემა.

მეტალურგიული საწარმოს გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, საწარმოო ობიექტის შემადგენელი ძირითადი ტექნოლოგიური ერთეულებია: საღუმლე კორპუსები/უბანი; საკაზმე მასალების საწყობი; სანედლეულო მასალების მიწოდების ხაზი; დნობის პროდუქტების ჩამოსხმის უბნები; ღუმელებისა და ტრანსფორმატორის წყლით გაციების მბრუნავი სისტემა; აირმტვერგაწმენდის უბნები; სატრანსფორმატორო ქვესადგური; ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა. საწარმოო ობიექტის ტექნოლოგიური ერთეულებიდან: საღუმლე უბნები წარმოადგენილია ორი დახურული ტიპის ელექტროღუმელით, რომლებიც განთავსებულია ლითონ-კარკასულ შენობაში; საკაზმე მასალების უბანი წარმოადგენს საკაზმე მასალის მიმღებ რკინა-ბეტონის კონსტრუქციის დახურულ ესტაკადას, რომელშიც დადგმულია ერთი ხიდური ამწე და რომლის ორივე მხარეს აშენებულია რკინა-ბეტონის ხარობები; მასალების მიწოდების ხაზი წარმოადგენს ლითონის კონსტრუქციის ხაზს, რომლის დანიშნულებაც საკაზმე მასალების დოზირება და მათი მიწოდება ღუმელების მკვებაზე ხვიმრებში. ხაზი შედგება სანედლეულო მასალის მიმღები ბუნკერებისაგან, დოზატორისაგან, მიმწოდებელი ლენტური კონვეიერისაგან და მასალების მიმღები ხაროსაგან; დნობის პროდუქტების მიღების უბანი გათვალისწინებულია დნობის პროდუქტების – ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფეროქრომი და ფეროსილიციუმი) და წიდის მიღება-რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, რომლიც მდებარეობს რკინაბეტონის კონსტრუქციის არსებული დახურულ შენობაში; ღუმელებისა და ტრანსფორმატორის წყლით გაციების მბრუნავი სისტემა გათვალისწინებულია ღუმელების კონსტრუქციებისა და ელექტრო ტრანსფორმატორის წყლით გაციების მბრუნავი ციკლის უზრუნველსაყოფად; აირმტვერგაწმენდი უბანი წარმოადგენს სამსაფეხურიან გაწმენდ სისტემას, რომლის ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს - ღუმელებიდან სათანადო მილსადენებითა და მძლავრი აირგამწოვი დანადგარების საშუალებით მტვრის შემცველი მაღალტემპერატურიანი აირების მტვერგაწმენდ დანადგარებში მიწოდებას, სამსაფეხურიან გაწმენდ სისტემაში მათ დამუშავებას და 20 მეტრი სიმაღლისა და 1.0 მ. დიამეტრი მილის საშუალებით ატმოსფეროში გაფრქვევას. სისტემის ეფექტურობა ტოლია არანაკლებ 90 %-ის და შედგება სამი საფეხურისაგან: I საფეხური მშრალი გაწმენდა ციკლონი; II საფეხური სველი გაწმენდის ციკლონი; III საფეხური სველი მტვერდჭერი.

გზშ-ს ანგარიშის შესაბამისად - მაქსიმალური სიმძლავრით ფუნქციონირების შემთხვევაში, წელიწადში 7920 საათის მუშაობის რეჟიმით, გამოშვებული 31680 ტონა სილიკომანგანუმის, 19800 ტონა ფეროსილიციუმის და 19800 ტონა ფეროქრომის მზა პროდუქციის მისაღებად საწარმო შემდეგი სახეობისა და რაოდენობის ბუნებრივ რესურსებს გამოიყენებს (იხ. ცხრილი N2):

ცხრილი N2

N	მასალების დასახელება	ხარჯები ცალკეული ფეროშენადნობების მიხედვით (ტ)			
		სილიკომანგანუმი		ფეროსილიციუმი	
		დღე-ღამე	წელი	დღე-ღამე	წელი
1	მანგანუმის კონცენტრატი	171,36	56549	-	-
2	კვარციტი	35,808	11817	11,96	36947
3	კოქსიკი	43,488	14351	50,16	16553
4	რკინის ბურბუშელა	0,960	316,8	12,96	4277
5	კირქვა ან დოლომიტი	1,920	633,6	--	--
		-			
		-			

საწარმოო ობიექტი წყალმომარაგება-წყლარინების საკითხები, გზშ-ის შესაბამისად:

განსახილველისაქმიანობისათვის წყალი გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით. საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, წყლის გამოყენება გათვალისწინებულია: ღუმელებისა და ტრანსფორმატორების გაცივებისთვის, რომელიც ბრუნვითი წყალმომარების სიტემას წარმოადგენს (წყლის ხარჯი შეადგენს - 2710 მ³/წელ); სველი მტვერდამჭერის ბრუნვით სისტემაში, სადაც მოხმარებული წყლის ხარჯი შეადგენს - 1250 მ³/წელ; საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, მოხმარებული წყლის მაქსიმალური რაოდენობით - 5109,75 მ³/წელ. წყალმომარაგება ხორციელდება ლიცენზირებული ჰაბურდილიდან. საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, კერძოდ: ღუმელებისა და ტრანსფორმატორების სისტემის გასაცივებლად გამოყენებული წყალი არ საჭიროებს გაწმენდას და მუდმივად ჩართულია ბრუნვით სისტემაში; სველ მტვერდამჭერ სისტემაში გამოყენებული წყალი ოთხ საფეხურიანი სალექარის გავლისა და გაწმენდის შემდგომ ისევ ბრუნდება სველ მტვერდამჭერ სისტემაში; საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები გროვდება საწარმოს ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილ ორმოებში და ხორციელდება მისი პერიოდული გატანა, შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ.

საწარმოო ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, გზშ-ს შესაბამისად:

ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში, რომელთა განტვირთვა ხორციელდება ქ. ზესტაფონის დასუფთავების სამსახურის მიერ; გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, საწარმოო ნარჩენის - 40 000 ტ წიდის რეალიზაცია, დამსხვრება-დახარისხების შემდგომ, გათვალისწინებულია სხვადასხვა საწარმოებზე; საწარმოო წყლების გაწმენდის შედეგად წარმოქმნილი ნალექი ბრიკეტების შემდეგ ბრუნდება ღუმელში გამოსადნობად; საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

3.1. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების დახასიათება:


სკრინინგის ანგარიშის შესავალ ნაწილში როგორც განიმარტა გზდ-ს შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიამ დაარღვია გზშ-ს ანგარიშის და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ: კოდექსის დადგენილი პროცედურის გავლის გარეშე განახორციელა - მანგანუმის შემცველი წიდის ტექნოლოგიურ პროცესში (ნედლეულად) გამოყენება და საწარმოში ავტოტრანსპორტის ტექნოლოგიური უზანის მოწყობა, რაც არ იყო გათვალისწინებული შესაბამისი გზშ-ს ანგარიშით. ამასთან, კომპანია ახორციელებს ტერიტორიაზე დაგროვილი ჯართის აირულ ჭრას და სალუმლე უბნისთვის მიწოდებას, რაც ასევე არ იყო გათვალისწინებული გზშ-ს ანგარიშითა და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით.

გამოვლენილი გარემოების გათვალისწინებით საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ერთ-ერთ კომპონენტად განიხილება - საწარმოო პროცესში წარმოქმნილი წიდის ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. კერძოდ - მეტალურგიული წარმოების შედეგად მიღებული წიდის ნატეხები, დროებითი სასაწყობე ტერიტორიიდან შესაბამისი (საჭიროებისამებრ) პერიოდულობით მიეწოდება ტექნოლოგიურ ხაზს (სალუმლე უბანს) და გამოყენებული იქნება როგორც ნედლეული. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, საწარმოსთვის მეტალურგიული პროცესებიდან მიღებული წიდა არ წარმოადგენს ნარჩენს. მიღებული წიდა ბრუნდება ღუმელებში, როგორც მანგანუმის შემცველი ნედლეული. წიდა (მანგანუმის შემცველობით 20-30%) სამსხვრევლაში დამსხვრევის შემდეგ გამოიყენება კვლავ წარმოებაში, ხოლო მანგანუმის დაბალი შემცველი წიდა დამსხვრევის გარეშე ბრუნდება ღუმელებში ან/და გამოიყენება საამშენებლო ღორღის სახით. როგორც აღინიშნა, საწარმოში მოწყობილი წიდის სამსხვრევი დანადგარის გამოყენება გათვალისწინებულია მხოლოდ წიდაში მანგანუმის მაღალი შემცველობის შემთხვევაში, რაც ფაქტობრივად ძალიან იშვიათია წიდაში მანგანუმის დაბალი შემცველობის გამო (სამსხვრევი დანადგარის ფუნქციონირების შემთხვევაში დაცულია ზდგ-ს პროექტით დადგენილი ნორმები). საწარმოო პროცესების შედეგად მიღებული წიდის ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნების გადაწყვეტილება მიღებული იქნა ბაზარზე ნედლეულის დეფიციტის გამო. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების აღნიშნული კომპონენტი გარემოსდაცვით ხასიათს ატარებს და ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ ენერგოეფექტურ გადაწყვეტას წარმოადგენს, რომელიც ენერგოეფექტურობის გარდა მიმართულია ქვეყანაში მეტალურგიული წარმოების ნარჩენის - წიდის მართვის გამოწვევების ეფექტური მოგვარებისკენ. *მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ მეტალურგიული წარმოების შედეგად მიღებული წიდის ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნებით არაფერი, მათ შორის გარემოსდაცვითი კუთხით, არ იცვლება - გარდა იმისა რომ ეს საკითხი გზშ-ს ანგარიშით და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით არ იყო გათვალისწინებული.*

ავტოტრანსპორტის ტექნოლოგიური უზანის მოწყობა მირითადად ხორციელდება გზშ-ს ანგარიშის შესაბამისად, სათანადო ტექნოლოგიური უზანის ობიექტში - თუმცა კომპანიის გადაწყვეტილებით საწარმოო ობიექტზე მოწყობილი იქნა ასევე ავტომობილების სარემონტო მცირე ზომის ე.წ „ბოქსი“, რომელიც მარტივი ტიპის მომსახურებაზეა გათვალისწინებული. როგორც ეს გზდ-ს ინსპექტირების აქტში განიმარტა - „ტერიტორიაზე არსებული ანგარის ერთ-ერთ ნაწილში მოწყობილია ავტომობილების სარემონტო ბოქსი, სადაც ხდება ავტოსატრანსპორტო ტექნიკის

დათვალიერება და მიმდინარე შეკეთება, ხოლო სრული ტექმომსახურება და შეკეთება ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი ტიპისა და აღჭურვილობის ობიექტზე”. საწარმოს ტერიტორიაზე მარტივი ტიპის ტექმომსახურების „ბოქსის“ არსებობით გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდა მოსალოდნელი არ არის. ტექმომსახურების ობიექტის მოწყობით საწარმოში ფაქტობრივად არაფერი არ შეცვლილა გარდა მომსახურების შედეგად წარმოქმნილი მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენებისა (მაგ: ნარჩენი ზეთები, ზეთის ფილტრები, დაბინძურებული ჩვრები). აღნიშნული ტიპის სახიფათო ნარჩენების, ისევე როგორც საწარმოში წარმოქმნილი სხვადასხვა სახეობის სახიფათო ნარჩენების, მართვის ღონისძიებები დარეგულირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული (N5985/01 წერილი; 15/06/2021) ნარჩენების მართვის გეგმის (2021-2023) შესაბამისად.


ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში კომპანია გეგმავს ასევე მანგანუმის შემცველი კუდების (დაბალპროცენტიანი მადანის) დამუშავებას საწარმოში არსებულ სარეცხ-გამამდიდრებელ დანადგარზე, რომელიც ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, არსებულ სალექართან არის განთავსებული. მადნის გამდიდრების ტექნოლოგია ითვალისწინებს: დაბალპროცენტიანი (15%-20%) პროდუქციის (მანგანუმის შემცველი მადნის) სატვირთველით შესაბამის ბუნკერში მიწოდებას; ბუნკერიდან ტრანსპორტიორი ლენტით სარეცხ-გამამდიდრებელ მანქანაზე (Трyг-3) გადატანას; მანგანუმის შემცველი „კუდების“ დამუშავება/გამდიდრებას, რეცხვის გზით; ცხაურის გავლით გამდიდრებული მადანის (30%-35%-მდე) განთავსებას სარეცხ-გამამდიდრებელი დანადგარის ქვემოთ, მობეტონებულ ადგილზე; ნედლეულის გამდიდრების დროს გამოყენებული წყლის, ოთხკამერიანი სალექარის (თითოეული სექციის პარამეტრებით: სიგრძეა-17მ, სიგანე-3,5მ, სიღრმე-1,80მ) გავლით, ისევ ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნებას; სარეცხ-გამამდიდრებელ დანადგარზე დარჩენილი „ფუჭი გრუნტის“ ლენტური ტრანსპორტიორით შესაბამის ადგილზე დასაწყობებას. ტექნოლოგიური ციკლის დასრულების შემდგომ, 30%-35%-მდე გამდიდრებული მადნი შესაბამისი სატვირთელებით, მიეწოდება ფეროშენადნობების საწარმოო ტექნოლოგიურ ხაზს.



სარეცხ-გამამდიდრებელი დანადგარის საპროექტო წარმადობა შეადგენს - საათში 5-დან-10 ტ-მდე (ძირითადად წარმადობა დამოკიდებულია მოწოდებული პროდუქციის ე.წ. კულების პროცენტულობაზე). ტექნოლოგიური ხაზი იფუნქციონირებს წელიწადში მაქსიმუმ 330 დღის და დღეში მაქსიმუმ 18 საათის განმავლობაში.

მანგანუმის შემცველი მადნის შემოტანა დაგეგმილია შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ ზესტაფონის ქარხნიდან, სატვირთო მანქანების საშუალებით. გადაზიდვები განხორციელდება ზესტაფონი-არგვეთის გზით - იხ. რუკა N1. მადანი შემოვა დაახლოებით 3000-5000 ტ-მდე თვეში. შესაბამისად თვის განმავლობაში დამუშავებული იქნება მაქსიმუმ 5000 ტ-მდე მადანი ($18\text{სთ} \times 10\text{სთ} \times 27\text{დღ} = 4\ 860\text{ტ}$).

რუკა N1



მანგანუმის შემცველი მადნის გამამდიდრებელი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაცია, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ნედლეულის რეცხვას, დაკავშირებული არ იქნება გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდასთან. კერძოდ, სველი მეთოდით (რეცხვით) მადნის დამუშავება/გამამდიდრების შედეგად მოსალოდნელი არ არის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ამასთან შერჩეული ტექნოლოგიით ნედლეულის დამუშავება (არ ითვალისწინებს ნედლეულის მსხვრევა-დახარისხებას) დაკავშირებული არ იქნება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებებით დამატებითი კვლევების განხორციელების საჭიროება არ დგას. მადნის სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება იხილეთ ანგარიშის 5.5 ქვეთავში.

გამამდიდრებელი ტექნოლოგიური ხაზის ფუნქციონირება დაკავშირებული არ იქნება საწარმოო ობიექტის წყალმოხმარების რაოდენობის ზრდასთან და წყლის რესურსის დამატებით გამოყენებასთან, კერძოდ - დანადგარში გამოსაყენები წყალი აღებული იქნება სალექარიდან, რომელიც ტექნოლოგიურ ციკლში გავლის შემდგომ ისევ დაუბრინდება არსებულ სალექარს (შემდგომი გაწმენდისა და ისევ ტექნოლოგიურ ხაზზე მიწოდების მიზნით).

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების კიდევ ერთ კომპონენტს წარმოადგენს რკინის ჯართის დამუშავება. გზშ ანგარიშის თანახმად, ნედლეულად გამოიყენება შესაბამისი ზომის რკინის ბურბუმელა, ხოლო რკინის ჯართის დამუშავება (დაჭრა) და გამოყენება არ არის გათვალისწინებული.

საწარმოს ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდულობით გროვდება რკინის ჯართი, რომლის ოპტიმალური მართვის მიზნით გადაწყვეტილია მისი როგორც ნედლეულად გამოყენება და ფეროშენადნობთა წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში მიწოდება. ძირითად ნედლეულს ისევ წარმოადგენს გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული რკინის ბურბუმელა (რომელიც შესაბამისი მომწოდებლისგან შემოდის საწარმოში), თუმცა ბაზარზე აღნიშნული ტიპის ნედლეულის დეფიციტის დროს, ტექნოლოგიური პროცესის შეუფერხებელი ფუქნციონირების მიზნით ასევე გამოიყენებული იქნება ტერიტორიაზე არსებული/დაგროვილი რკინის ჯართი. ჯართის მომზადებისა და საღუმლე უბნისთვის მიწოდების პროცესი გულისხმობს: ტერიტორიაზე დაგროვილი ჯართის აირული ჭრის მეთოდით შესაბამის ზომებამდე დამუშავებას; დამტვირთველის მეშვეობით საღუმლე უბნისთვის მიწოდებას და დაჭრილი ჯართის ღუმელებში ჩატვირთვას.

ჯართის ჭრის/დამუშავების შერჩეული მეთოდით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას უკავშირდება, რომელიც საწარმოში ჯართის დამუშავების საჭიროებიდან გამომდინარე არ იქნება მნიშვნელოვანი. კერძოდ როგორც უკვე აღინიშნა ტერიტორიაზე დაგროვილი ჯართის გამოყენება (და შესაბამისად დაჭრა) გათვალისწინებულია მხოლოდ ბაზარზე რკინის ბურბუმელის დეფიციტის დროს, ალტერნატიული ნედლეულის სახით. ჯართის აირული ჭრის შედეგად გაფრქვეული მავნე ნივთიერებები იქნება მცირე, რომელიც ძირითადად ლოკალიზდება ჯართის ჭრის უბანზე და არ გავრცელდება ფართო მასშტაბებზე. ჯართის აირული ჭრის შედეგად გაფრქვეული მავნე ნივთიერებების დეტალური ანგარიში განხორციელდება საწარმოს განსაახლებელ ზდგ-ს ნორმების პროექტში.

რაც შეეხება ჯართის ჭრის შედეგად ხმაურის შესაძლო დონეების მატებას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ შერჩეული მეთოდის (აირული ჭრა) უპირატესობებს (მექანიკურ დამუშავებასთან შედარებით) ხმაურის მაღალი დონეების პროვოცირების არ არსებობა წარმოადგენს. შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების საჭიროება არ დგას.

ჯართის დამუშავების დროს დაცული იქნება სათანადო სტანდარტები, მათ შორის: ნავთობპროდუქტებით ან სხვა სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ჯართის იდენტიფიცირების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება რკინის ნარჩენების გატანა და შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა; ჯართის ჭრის უბანზე, გათვალისწინებული იქნება აალების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები და უბანზე მობილიზებული იქნება სათანადო სტანდარტის ცეცხლმაქრები.

გზშ-ს ანგარიშის შესაბამისად საწარმოო ობიექტზე ნედლეულის შემოზიდვა ხორციელდება მხოლოდ რკინიგზის საშუალებით. გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა, შპს "ჯი თი ემ გრუპი" ნედლეულის საწარმოო ობიექტზე შემოტანის ალტერნატიულ ვარიანტად განიხილავს აგრეთვე სატვირთო ტრანსპორტის გამოყენებას, რაც ასევე წარმოადგენს გზშ-ს ანგარიშით განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას. საწარმოში ნედლეულის შემოტანა გაგრძელდება რკინიგზის საშუალებით, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ნედლეულის ტრანსპორტირება განხორციელდება ასევე სატვირთო მანქანების საშუალებით. შესაბამისი საჭიროებიდან ან/და შექმნილი ფორსმაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე,

ობიექტისთვის ნედლეულის უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად, ნედლეულის გადაზიდვები განხორციელდება ან საავტომობილო ან სარკინიგზო გზით, ან/და ორივეთი ერთად. ნედლეულის ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში, ნედლეული ობიექტზე შემოვა ბათუმიდან, ფოთიდან ან/და ზესტაფონიდან. სატრანსპორტო გადაზიდვების შესახებ ინფორმაცია იხ. 5.5 ქვეთავში.

ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების კიდევ ერთ კომპონენტად განიხილება აგრეთვე აირმტვერგამწმენდი სისტემის ტიპის ცვლილება. როგორც ეს მე-3 თავში განიმარტა საწარმოში, გზმ-ს ანგარიშის შესაბამისად, გათვალისწინებული იყო სამ საფეხურიანი სველ მტვერდამჭერის გამოყენება.

დღეის მდგომარეობით ობიექტზე მოწყობილია/ექსპლუატაციაშია მშრალი მტვერდამჭერი სისტემა - სახელოებიანი ფილტრები. თითოეულ ღუმელში დნობისას წარმოქმნილი აირმტვერნარევი, მტვრის დასაჭერის მიზნით, გამწოვი სისტემის საშუალებით ხვდება სათანადო სტანდარტის სახელოებიან ფილტრებში. საწარმოს ზდგ-ს ნორმების პროექტის შესაბამისად (შეთანხმებული 2021 წელს), სახელოებიანი ფილტრების პარამეტრებია:

- გასაწმენდი აირების წარმადობა $Q=88300$ მ³/სთ;
- ფილტრების ზედაპირის ფართობი - 980 მ²;
- აირის წნევითი დატვირთვა - მ³/მ² წუთში 1.5 -მდე;
- ფილტრის ჰიდრაულიკური წინააღმდეგობა - არაუმეტეს 2.0 კპასკ;
- გასაწმენდი აირის ტემპერატურა 200 °C-მდე;
- დასაშვები მტვრის კონცენტრაცია შესასვლელში - არაუმეტეს 10 გ/მ³;
- მტვრის კონცენტრაცია გამოსასვლელში - არაუმეტეს 20 მგ/მ³;
- შეკუმშული ჰაერის ხარჯი 3.6 მ³/წთ;
- შეკუმშული ჰაერის წნევა $0.4 - 0.6$ მპასკ;
- სახელოებიანი ფილტრის შიდა დიამეტრი - 139 მმ, სიგრძე 5160 მმ;

მტვერდამჭერში დაჭერილი მტვერი ბრიკეტდება ბრიკეტირების დანადგარში და შემდგომ ბრუნდება კვლავწარმოებაში.

საწარმოო ობიექტზე სველი მტვერდამჭერის ნაცვლად მშრალი ტიპის მტვერდამჭერი სისტემის გამოყენებამ შეამცირა საწარმოს წყალმოხმარების ხარჯი. გზმ-ს ანგარიშის მიხედვით, სველი მტვერდამჭერისთვის მოხმარებული წყლის ხარჯი წელიწადში 1250 მ³-ს შეადგენდა, რისი საჭიროებაც აღარ არსებობს.

გზმ-ს ანგარიშიდან ანგარიშის შესაბამისად, საწარმოო ობიექტზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ნედლეულის მუდმივად დახურულ ანგარში დასაწყობება. წლების განმავლობაში დაგროვილმა სამუშაო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ნედლეულის მუდმივად დახურულ ანგარში დასაწყობის საჭიროება არ დგას. მათ შორის, დახურულ ანგარებში ფართის სიმცირის გამო ბევრად პრაქტიკულია ნედლეული ღია სივრცეში განთავსება. ამ შემთხვევაში მთავარ ამოცანას წარმოადგენს, რომ ნაყარი ტვირთი დაცული იქნეს გაბნევისაგან და სანიაღვრე-წვიმის წყლების ნაყარში მოხვედრისაგან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ასევე ნედლეულის დროებითი დასაწყობების საკითხი. საპროექტო გადაწყვეტის შესაბამისად, ნედლეულის დროებითი განთავსება დაგეგმილია ღია სივრცეში.

საწარმოში შემოსული ნედლეული დასაწყობებული იქნება საწარმოო ტერიტორიის მობეტონებულ ადგილებში (იხ. დანართი N1 და სურათი N1), სადაც თითოეული ნედლეული გამოყოფილი იქნება შესაბამისი სექტორებად (შემოზვინულ სივრცეებში). ტექნიკური გადაწყვეტის მიხედვით ტვირთების/ნედლეულის დასაწყობება განხორციელდება ცალკეულ სექტორებზე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება გაბნევისა და ნალექის ზემოქმედებისგან. დაყრილი მასა ფორმირდება 2,5-3,5 მ სიმაღლის გროვებად და გადაეფარება წყალგაუმტარი ქსოვილი (იხ. სურათი N2). ექსპლუატაციის პირობების ცვლილების აღნიშნული კომპონენტი დაკავშირებული არ იქნება გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდასთან. დასაწყობებული ტვირთები, გაბნევა-ამტვერების და სანიაღვრე წყლების დაბინძურების პრევენციის მიზნით, მუდმივად გადახურული იქნება წყალგაუმტარი ქსოვილით; ამტვერების პრევენციის მიზნით გაკონტროლდება სატვირთო მანქანებიდან ნედლეულის ჩამოცლა-დასაწყობების პირობები, მათ შორის ტვირთი დაიცლება თანაბარი სიჩქარით;

სურათი N1



სურათი N2




4. საქმიანობის განხორციელების ადგილი:

შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის საწარმო უკვე წლებია განთავსებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ არგვეთას ტერიტორიაზე. საკვლევი ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გულისხმობს საქმიანობის განხორციელების ადგილის შეცვლას, ტერიტორიის გაფართოებას ან/და ახალი ინფრასტრუქტურული ერთეულ(ებ)ის მოწყობას. აღნიშნულის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების დამატებით გამოყენება/ათვისებას.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის საწარმოო ზონა, სადაც მოწყობილია მეტალურგიული ქარხანა და დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები, მოიცავს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ორ საკადასტრო ერთეულს (ს/კ - 32.03.49.641; ს/კ - 32.03.49.642). ორივე საკადასტრო ერთეული წარმოდგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. განსახილველი ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-333198, Y-4666249; X-332817, Y-4666412; X-332797, Y-4666367; X-333005, Y-4666262; X-332611, Y-4666364; X-333146, Y-4666118; X-333267, Y-4666062

რუკა N2




რუკა N3



საკვლევ არეალში წლებია წარმოდგენილია შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის ქარხანა და შესაბამისი დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები, მათ შორის განსახილველი საწარმოს სიახლოვეს (175 მ) მდებარეობს ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტი შპს "ჯორჯია მეტალი" - რომელიც 2023 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და საქმიანობაზე გაიცა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N 130/ს). გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე საქმიანობებიდან საკვლევი არეალის სიახლოვეს, საწარმოს ტერიტორიიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 550 მეტრში განთავსებულია ასევე შპს „შაველა-2020“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზი (N 2-1186). საწარმო ტერიტორიიდან სამხრეთ-დასავლეთით, 800-მეტრამდე რადიუსში განთავსებულია ასევე სახვადსხვა ტიპის სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ხაზები, რომელთაგან ზოგიერთი შეზღუდულად ან/და არ ფუნქციონირებს. საწარმოო შენობიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 150 მეტრში განთავსებულია შპს „ზესტაფონის სათბურის" ტერიტორია. საწარმოო ობიექტიდან პირდაპირი მანძილი მდ. ყვირილამდე შეადგენს დაახლოებით 1 000 მეტრს.

რუკა N4



საწარმო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დასავლეთით მდებარე უახლოეს საცხოვრებელ შენობა-ნაგებობამდე მანძილი დაახლოებით 340 მ-ს შეადგენს, ხოლო უშუალოდ საწარმოო შენობიდან, შესაბამისად მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროდან (გამწმენდი სისტემიდან) - დაახლოებით 500 მეტრს (იხ. რუკა N4). მანგანუმის გამამდიდრებელი ტექნოლოგიური ხაზიდან მანძილი უახლოეს მოსახლემდე დაახლოებით 400 მეტრს შეადგენს (იხ. რუკა N4). საცხოვრებელი ზონა განთავსებულია ასევე საწარმოს ტერიტორიის აღმოსავლეთ მხარეს (იხ. რუკა N4), მათ შორის: უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან განთავსებულია 390 მეტრში, საკაზმი განყოფილებიდან 475 მეტრში, საღუმლე უბნის გაფრქვევის წყაროდან (გამწმენდი სისტემიდან) 674 მეტრში, ხოლო მანგანუმის გამამდიდრებელი და დამხარისხებელი ტექნოლოგიური ხაზიდან 770 მეტრში.

გამოკვლევური არიალი არ გამოირჩევა ფლორისტული და ფაუნისტური თვალსაზრისით, რაც ძირითადად განპირობებულია საწარმოო ტერიტორიის ანთროპოგენური ზემოქმედებით მნიშვნელოვნად სახეცვლილ გარემოში არსებობით. ანთროპოგენური დატვირთვის გათვალისწინებით, საკვლევ ზონაში წარმოდგენილი არ არის სენსიტიური ჰაბიტატები და საკონსერვაციო ღირებულების ფაუნისტური ან/და ფლორისტული სახეობების.

4.1. საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

4.1.1. დასახლებულ ტერიტორიასთან: განსახილველი ობიექტი - ფეროშენადნობების საწარმო - წლებია განთავსებულია დასახლებული ტერიტორიის სიახლოვეს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელი არგვეთას ტერიტორიაზე. როგორც წინამდებარე ქვეთავში განიმარტა: საწარმოო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დასავლეთით მდებარე უახლოეს საცხოვრებელ შენობა-ნაგებობამდე მანძილი დაახლოებით 340 მ-ს შეადგენს, ხოლო უშუალოდ საწარმოო შენობიდან, შესაბამისად მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროდან (გამწმენდი სისტემიდან) - დაახლოებით 500 მეტრს. მანგანუმის გამამდიდრებელი ტექნოლოგიური ხაზიდან მანძილი უახლოეს მოსახლემდე დაახლოებით 400 მეტრს შეადგენს (იხ. რუკა N4). საცხოვრებელი ზონა განთავსებულია ასევე საწარმოს ტერიტორიის აღმოსავლეთის მხარეს, მათ შორის: უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან განთავსებულია 390 მეტრში, საკაზმი განყოფილებიდან 475 მეტრში, საღუმლე უბნის გაფრქვევის წყაროდან 675 მეტრში, ხოლო მანგანუმის გამამდიდრებელი ტექნოლოგიური ხაზიდან 770 მეტრში.

რუკა N5



ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია არ არის ახალი/გამოუყენებელი ადგილის, მათ შორის დასახლებული ტერიტორიის ათვისება. ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ ითვალისწინებს რაიმე ტიპის სამშენებლო ან/და საექსპლუატაციო სამუშაოების წარმოებას, რასაც შესაძლოა ზემოქმედება მოეხდინა დასახლებული ტერიტორიის ფონურ მდგომარეობაზე.

განსახილველი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გულისხმობს საპროექტო წარმადობის გაზრდას ან/და დამატებით ახალი დამაბინძურებელი წყარო(ები)ს ექსპლუატაციას, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდასთან. საკვლევი საქმიანობის სკრინინგით დგინდება, რომ *ექსპლუატაციის პირობის ცვლილება (ცვლილების სპეციფიური მახასიათებლების გათვალისწინებით) დაკავშირებულია არ არის გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებასთან (იხ. მე-5 პარაგრაფი), რომელიც შეფასებული იყო საქმიანობის გზშ-ს ეტაპზე.*

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, განსახილველ არეალში წლების განმავლობაში მოქმედი/არსებული ტექნოგენური დატვირთვის და ტერიტორიის ფაქტობრივი ფუნქციური ზონის/მნიშვნელობის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად უახლოეს დასახლებულ ტერიტორიასთან არსებული მდგომარეობის ცვლილება/გაუარესება მოსალოდნელი არ არის. შესაძლებელია დავასკვნათ რომ საკვლევი საქმიანობა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, თავსებადია დასახლებულ ტერიტორიასთან და დასახლებულ ზონაზე შესაძლო ზემოქმედების დამატებითი კვლევის/შეფასებების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის საჭიროება არ დგას. სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მართვის მიზნით გზშ-ს ანგარიშით განსაზღვრული პირობების, შემარბილებელი ღონისძიებებისა და დადგენილი ნორმების დაცვა საკმარის პირობას წარმოადგენს.

4.1.2 ჭარბტენიან ტერიტორიასთან: atlas.mepa.gov.ge-ის და maps.gov.ge-ის მონაცემების შესაბამისად საკვლევი არეალის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები. ფაქტობრივი გარემოების და ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით დგინდება, რომ საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის ჭარბტენიან ტერიტორიებთან თავსებადობის საკითხი შეფასებას არ საჭიროებს.

4.1.3 შავი ზღვის სანაპირო ზოლთან: შეფასებას არ საჭიროებს ასევე განსახილველი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის თავსებადობის საკითხი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, რომელიც საპროექტო ადგილიდან საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული.

4.1.4 ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები: ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული არ არის ახალი ტერიტორიის, მათ შორის ტყით დაფარული ტერიტორიის ათვისება. საქმიანობა ხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ურბანულ გარემოში, სადაც წარმოდგენილი არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ფართობები. საქმიანობა ან/და

მისი განხორციელების ადგილი თავსებადია ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, მათ შორის შესაძლო ზემოქმედების არეალში არ ექცევა საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

4.1.5 დაცულ ტერიტორიებთან: მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საკვლევ რეგიონში (მუნიციპალიტეტის ფარგლებში) დაცული ტერიტორიები წარმოდგენილი არ არის. ფაქტობრივი გარემოების და ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით, საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის დაცულ ტერიტორიებთან თავსებადობის საკითხი შეფასებას არ საჭიროებს.

4.1.6 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან: memkvidreoba.gov.ge-ის ინტერაქტიული რუკის მონაცემების მიხედვით, საკვლევი არეალის სიახლოვეს არ გვხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/ობიექტები. კერძოდ, განსახილველი ტერიტორიის სიახლოვეს არ არის განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი და ის არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში - შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები. საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ გულისხმობს საექსკავაციო სამუშაოების წარმოებას ან/და ახალი ტერიტორიის ათვისებას - შესაბამისად არ არსებობს რაიმე არტეფაქტის აღმოჩენის ან/და დაზიანების ალბათობა. საწარმოს ტერიტორია თავსებადია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და აღნიშნული სახის ობიექტებზე რაიმე ტიპის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.1.7 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან): საკვლევი რეგიონში არ ფიქსირდება მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმა (იხ. maps.municipal.gov.ge), სადაც შესაძლოა გამოყოფილი ყოფილიყო ლანდშაფტური, სარეკრეაციო ან/და სატყეო ზონები. საქმიანობა ხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლის ფარგლებში ან/და მის უშუალო სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის სახელმწიფო ტყის ტერიტორიები ან/და ბუნებრივი ლანდშაფტური ზონები. maps.gov.ge-ის მონაცემების შესაბამისად: ობიექტის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის სარეკრეაციო ტერიტორიები.

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ გულისხმობს ახალი ტერიტორიის, მათ შორის ლანდშაფტური, სარეკრეაციო ან/და სატყეო ტერიტორიების/ზონების ათვისებას. ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ფაქტობრივი მდგომარეობა უცვლელად შენარჩუნდება, როგორც ლანდშაფტურ, ისე სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიების/ზონებთან ობიექტის თავსებადობის კუთხით. ზემოაღნიშნული გარემოებებისა და ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით, საქმიანობის და მისი განხორციელების ადგილის, როგორც ლანდშაფტურ, ისე სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან/ზონებთან თავსებადობის საკითხი დამატებით შეფასებას არ საჭიროებს.

5. საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი:

განსახილველი ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საპროექტო მახასიათებლების ანალიზის შედეგად განხორციელდა გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი, მათ შორის გამოიკვეთა პოტენციური ზემოქმედების წყაროები, ხოლო ობიექტური შეფასებების საფუძველზე დადგინდა მოსალოდნელი ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

საქმიანობის სკრინინგით ირკვევა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე არ შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც „მნიშვნელოვანი“. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი არ არის საწარმოს წარმადობის გაზრდა, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ საჭიროებს ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების დამატებით გამოყენებას/ათვისებას. საქმიანობა ხორციელდება ტექნოგენურ გარემოში, სადაც ბუნებრივი ლანდშაფტი უკვე წლებია სახეცვლილია აქტიური ანთროპოგენური ზეგავლენის გამო. შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საკვლევ ზონაში არ არის წარმოდგენილი სენსიტიური ჰაბიტატები ან/და საკონსერვაციო ღირებულების ფაუნისტური ან/და ფლორისტული სახეობები. ტერიტორიაზე არსებული მაღალი ტექნოგენური დატვირთვის გათვალისწინებით, ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ არის წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა/ბუნებრივი გრუნტის საფარი. ყოველივე აღნიშნულის, მათ შორის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლო ზემოქმედების სკრინინგს არ დაექვემდებარა ბიოლოგიური გარემოზე ან/და ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე/გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედების ანალიზი/შეფასება. ობიექტზე შეცვლილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით საქმიანობის განხორციელების ფარგლებში ნაყოფიერი ფენის/გრუნტის ხარისხის გაუარესების და ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკები არ განსხვავდება გზშ-ს ანგარიშში აღწერილი შესაძლო ზემოქმედების რისკებისგან და დამატებითი შემარბლებელი ღონისძიებების დასახვის საჭიროება არ დგას.

ობიექტზე დაცული იქნება, როგორც გარემოსდაცვითი, ისე უსაფრთხოების სტანდარტები და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება საწარმოს გამართული ოპერირება. შპს „ჯი თი ემ გრუპი“ იღებს პასუხისმგებლობას საქმიანობა განახორციელოს 2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია №11 (27.02.2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, №000035 (29.02.2012) გარემოზე ზემოქმედების ნებართვით, 30/05/2019 წელს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N 2-462) და შესაბამისი გზშ-ს ანგარიშით განსაზღვრული პირობების შესაბამისად/მკაცრი დაცვით, წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით.

5.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

განსახილველი საქმიანობის გზშ-ს ანგარიშში და შესაბამის ზდგ-ს ნორმების პროექტში წარმოდგენილია საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება, სადაც მოცემულია ინფორმაცია შესაძლო ზემოქმედების ანალიზის და დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის ძირითად პრევენციულ ღონისძიებად განიხილება საწარმოში ეფექტური გამწმენდი სისტემის ექსპლუატაცია. ატმოსფერულ ჰაერზე შესაძლო ზემოქმედების პრევენციის მიზნით, კომპანიის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის მიხედვით, პერმანენტულად (კვარტალში ერთხელ) ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის გაზომვები და იწარმოება ატმოსფერული ჰაერის სტაციონალური წყაროების და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის აღრიცხვა-ანგარიშგება.

საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ გულისხმობს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დამატებით ახალი მასშტაბური წყაროს მოწყობა-ექსპლუატაციას ან/და საწარმოს წარმადობის გაზრდას, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო არსებული ფონური მდგომარეობის ცვლილებასთან და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვან გაურესებასთან, მათ შორის:

- საწარმოო ტექნოლოგიურ ციკლში წიდის ნედლეულად გამოყენება არ ცვლის ატმოსფერულ ჰაერზე შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობას;
- წიდა (მანგანუმის შემცველობით 20-30%) სამსხვრევლაში დამსხვრევის შემდეგ გამოიყენება კვლავ წარმოებაში, ხოლო მანგანუმის დაბალი შემცველი წიდა დამსხვრევის გარეშე ბრუნდება ღუმლებში ან/და გამოიყენება საამშენებლო ღორღის სახით. წარმოების შედეგად მიღებული წიდა, ძირითად შემთხვევაში, არ ხასიათდება მანგანუმის მაღალი შემცველობით და მისი დამსხვრევის (შესაბამისად ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენების) საჭიროება არ დგას. თუმცა არც მისი მსხვრევით იცველება არსებული მდომარეობა, რომელიც ისედაც გათვალისწინებული/შეფასებული იყო საწარმოს გზშ-ის ეტაპზე და შესაბამისი ზდგ-ის ნორმების პროექტირების დროს;
- დაბალკონცენტრაციანი (მანგანუმის შემცველი) მადანების გამდიდრება, შერჩეული ტექნოლოგიის გათვალისწინებით (რომელიც მადნის გამდიდრებას მისი გარეცხვის გზით ახდენს), დაკავშირებული არ არის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან;
- ჯართის ჭრის/დამუშავების შერჩეული მეთოდით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას უკავშირდება, რომელიც საწარმოში ჯართის დამუშავების იშვიათი საჭიროებიდან გამომდინარე არ იქნება მნიშვნელოვანი. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა ტერიტორიაზე დაგროვილი ჯართის გამოყენება (და შესაბამისად დაჭრა) გათვალისწინებულია მხოლოდ ბაზარზე რკინის ბურბუშელის დეფიციტის დროს, ალტერნატიული ნედლეულის სახით. ჯართის აირული ჭრის შედეგად გაფრქვეული მავნე ნივთიერებები იქნება მცირე, რომელიც ძირითადად ლოკალიზდება ჯართის ჭრის უბანზე და არ გავრცელდება ფართო მასშტაბებზე. ჯართის აირული ჭრის შედეგად გაფრქვეული მავნე ნივთიერებების დეტალური ანგარიში განხორციელდება საწარმოს განსაახლებელ ზდგ-ს ნორმების პროექტში;

- დასაწყობებული ტვირთები, გაბნევა-ამტვერების პრევენციის მიზნით, მუდმივად გადახურული იქნება წყალგაუმტარი ქსოვილით. ამტვერების პრევენციის მიზნით გაკონტროლდება სატვირთო მანქანებიდან ნედლეულის ჩამოცლა-დასაწყობების პირობები, მათ შორის ტვირთი დაიცლება თანაბარი სიჩქარით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან დგინდება რომ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მახასიათებლების გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების მიზნით დამატებითი კვლევების განხორციელების, შემარბილებელი ღონისძიებების ან/და მონიტორინგის საკითხების დაგეგმვის საჭიროება არ დგას და ზდგ-ს ნორმების პროექტის განახლება საკმარის პირობას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ 2023 წელს საკვლევი საქმიანობის სიახლოვეს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის საწარმოო ობიექტის - შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, რომლიც რა თქმა უნდა არ ყოფილა ფონურ მნიშვნელობად გათვალისწინებული შპს „ჯი თი ემ გრუპის“ საქმიანობის გზშ-ს ანგარიშის და შესაბამისი ზდგ-ს ნორმების პროექტირების ეტაპზე. ვინაიდან შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის საწარმო წარმოადგენდა არსებულ ობიექტს - შპს „ჯორჯია მეტალის“ საქმიანობის გზშ-ს ეტაპზე, მათ შორის შესაბამისი ზდგ-ს ნორმების განსაზღვრის დროს, შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის საწარმოდან მოსალოდნელი გაფრქვევები/ემისიები ფონის სახით გათვალისწინებული იქნა დაგეგმილი საქმიანობის (შპს „ჯორჯია მეტალის“) ზდგ-ს ნორმების ანგარიშისას. შპს „ჯორჯია მეტალის“ გზშ-ს და შესაბამისი ზდგ-ს ანგარიშების მიხედვით - გაანგარიშების შედეგებმა აჩვენა, რომ არსებული (შპს „ჯი თი ემ გრუპის“) საწარმოს გათვალისწინების შემთხვევაში უახლოეს დასახლებასთან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მნიშვნელობები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზდგ-ს ნორმებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დასაბუთებისა, ვინაიდან 2023 წლიდან საკველ ზონაში შეიცვალა ფაქტობრივი მდგომარეობა და დამატებით მოეწყო ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ახალი წყარო (ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის საწარმო), რაც რა თქმა უნდა არყოფილა გათვალისწინებული შპს „ჯი თი ემ გრუპის“ ზდგ-ს ნორმების პროექტში - კომპანიის მიერ საწარმოს ზდგ-ს ნორმების პროექტის განახლების დროს ფონურ მნიშვნელობად გათვალისწინებული იქნება ასევე შპს „ჯორჯია მეტალის“ ახლად დაწყებული საქმიანობით გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები.

წინასწარი შეფასებით, რომელიც დაგეგმილი ცვლილების მახასიათებლების ანალიზსა და შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ განხორციელებულ კვლევებს ეყრდნობა, შესაძლებელია დავასკვნათ რომ საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, მათ შორის: ფეროშენადნობთა დამუშავების სიმძლავრე იგივე პარამეტრებით გაგრძელდება, რაც გზშ-ს ანგარიშით არის გათვალისწინებული და ობიექტის ფუნქციონირება დაკავშირებული არ იქნება მოსალოდნელი ემისიების პარამეტრების მნიშვნელობის ზრდასთან.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტის სააგენტოსთან შეთანხმების შემდგომ საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი უზრუნველყოფს ზდგ-ს ნორმების პროექტით დაგეგმილი ზღვრული მნიშვნელობების/ზღვრული კონცენტრაციების დაცვას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით განაგრძობს ყოველწლიური ანგარიშგების სააგენტოსთვის წარდგენას. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის განმახორციელებელი განაგრძობს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგს და გზშ-ს ანგარიშით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების დაცვას.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ნედლეულის სატვირთო ავტო-ტრანსპორტით გადაზიდვების დამატება, რაც სატრანსპორტო გადაზიდვების სათანდო გარემოსდაცვითი პირობების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ატმოსფერული ჰაერზე ზემოქმედებასთან. სატრანსპორტო გადაზიდვებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მინიმუმაციის მიზნით გათვალისწინებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება:

- ✓ ტვირთის გადაზიდვა უზრუნველყოფილი იქნება მარაგადახული სატვირთო ტრანსპორტით;
- ✓ ამტვერების პრევენციის მიზნით შეიზღუდება დასახლებულ ზონებში სატვირთო მანქანების გადაადგილების სიჩქარე;
- ✓ სატრანსპორტო გადაზიდვები არ განხორციელდება ღამის საათებში;
- ✓ მშრალ და ქარიან ამინდებში პოტენციური ამტვერების უბნები, მათ შორის საწარმომდე მისასვლელი გზები, წყლით დაინამება;
- ✓ ამტვერების პრევენციის მიზნით გაკონტროლდება სატვირთო მანქანებიდან ნედლეულის ჩამოცლისა და დასაწყობების პირობები, მათ შორის ტვირთი დაიცლება თანაბარი სიჩქარით;
- ✓ გაკონტროლდება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა, ხოლო ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი საექსპლუატაციოდ არ დაიშვება;
- ✓ ამტვერების პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით განხორციელდება მისასვლელი გზების საფარის კეთილმოწყობა;
- ✓ საწარმო ნედლეულით მომარაგების მიზნით ძირითადად გამოყენებული იქნება E60 მაგისტრალი.

5.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

განსახილველი საწარმოო ობიექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, საწარმოში დამონტაჟებული დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, ხასიათდება ხმაურის ჯამური დონით - 90 დბ. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი გაანგარიშებით დადგინდა, რომ საწარმოო ობიექტისაგან მოსალოდნელი ხმაურის დონე არ აღემატება დასაშვებ ნორმატივებს, როგორც ყველაზე ახლომდებარე მოსახლეობასთან, ისე დანადგარიდან 100 მეტრის ფარგლებში (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3

რეტაქტორი ზოლების სა- შუალო გეო- მეტრიული	ბგერითი სიძლავრის დონეები								
	ბგერითი წნეის დონეები დეციბელებში, საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	100	200	300	400	500	600	700	800	900
63	42.00	35.98	32.46	29.96	28.02	26.44	25.10	23.94	22.92
125	41.93	35.84	32.25	29.68	27.67	26.02	24.61	23.38	22.29
250	41.85	35.68	32.01	29.36	27.27	25.54	24.05	22.74	21.57
500	41.70	35.38	31.56	28.76	26.52	24.64	23.00	21.54	20.22
1000	41.40	34.78	30.66	27.56	25.02	22.84	20.90	19.14	17.52
2000	40.80	33.58	28.86	25.16	22.02	19.24	16.70	14.34	12.12
4000	39.60	31.18	25.26	20.36	16.02	12.04	8.30	4.74	0.00
8000	37.20	26.38	18.06	10.76	4.02	0.00	0.00	0.00	0.00

საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება (მათ შორის წიდის ნედლეულად გამოყენება და მანგანუმის შემცველი მადნის გამდიდრება) არ გულისხმობს ტერიტორიაზე ხმაურის წარმომქნელი დამატებით ახალი წყაროს მოწყობას ან/და საწარმოს წარმადობის გაზრდას, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო არსებული ფონური მდგომარეობის ცვლილებასთან და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდასთან. დგინდა რომ განსახილველი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ზემოაღნიშნული მნიშვნელობების (იხ. ცხრილი N3) შეცვლა მოსალოდნელი არ არის:

- საწარმოში წიდის ნედლეულად გამოყენება არ ცვლის ხმაურის გავრცელებით შექმნილ ფონურ მდგომარეობას. მათ შორის: წიდის დამუშავება დაგეგმილია მხოლოდ მანგანუმის მაღალი შემცველობის შემთხვევაში - რაც ასევე არ ცვლის არსებულ სიტუაციას, ვინაიდან წიდის სამსხვრევი დანადგარი წარმოადგენს არსებულ ტექნოლოგიურ ხაზს, რომელიც წლების მანძილზე მოწყობილია და ფუნქციონირებს საწარმოში;
- მანგანუმის შემცველი მადნის გამდიდრების ტექნოლოგია გულისხმობს ნედლეულის რეცხვას, რაც არ ხასიათდება ხმაურის მძლავრი დონით და დაკავშირებული არ იქნება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდასთან;
- საწარმოო ობიექტზე ხმაურის გავრცელებით შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობას არ ცვლის აგრეთვე ავტომობილების სარემონტო ე.წ „ბოქსი“ არსებობა, რომელიც მხოლოდ ტექნიკის დათვალიერების და მიმდინარე შეკეთებისთვის იქნება გამოყენებული, ხოლო

სრული ტექნომსახურება-შეკეთება განხორციელდება შესაბამისი ტიპისა და აღჭურვილობის ობიექტზე;

- რაც შეეხება ჯართის ჭრის შედეგად ხმაურის შესაძლო დონეების მატებას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ შერჩეული მეთოდის (აირული ჭრა) უპირატესობებს (მექანიკურ დამუშავებასთან შედარებით) ხმაურის მაღალი დონეების პროვოცირების არ არსებობა წარმოადგენს. შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების საჭიროება არ დგას;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილია არ არის საწარმოო ობიექტის საპროექტი სიმძლავრის/წარმადობის გაზრდა, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო ხმაურის გავრცელებით გარემოზე დამატებითი ზემოქმედების პროვოცირებასთან.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ნედლეულის სატვირთო ავტო-ტრანსპორტით გადაზიდვების დამატება, რაც სატრანსპორტო გადაზიდვების სათანდო გარემოსდაცვითი პირობების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან, მათ შორის მოსახლეობის შეწუხებასთან. სატრანსპორტო გადაზიდვებით მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების, მათ შორის მოსახლეობის შეწუხების მინიმინიზაციის მიზნით გათვალისწინებული იქნება სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება:

- დასახლებულ ზონებში შეიზღუდება სატვირთო ტექნიკის მოძრაობის სიჩქარეები;
- უზრუნველყოფილი იქნება სატვირთო მანქანების ტექნიკური გამართულობა - ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი საექსპლუატაციოდ არ დაიშვება;
- სატრანსპორტო გადაზიდვები განხორციელდება მხოლოდ დღის განმავლობაში;
- დაზიანებულ მისასვლელ გზებზე გადაადგილებით შექმნილი ხმაურის პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით (საჭიროებისამებრ) განხორციელდება მისასვლელი გზების საფარის კეთილმოწყობა;
- საწარმო ნედლეულით მომარაგების მიზნით ძირითადად გამოყენებული იქნება E60 მაგისტრალი;
- სატვირთო მანქანებიდან ნედლეულის ჩამოცლით შექმნილი ხმაურის პრევენციის მიზნით, ტვირთების დაცლა უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი სიჩქარით;
- რაიმე ტიპის შეუსაბამობის არ არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნედლეულის რკინიგზის საშუალებით ტრანსპორტირებას.

მოცემული გარემოების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქმიანობის განხორციელება, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით დაკავშირებული არ იქნება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რომელიც შესაძლოა დამატებით შეფასებას/ანალიზს ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასხვა-განხორციელებას საჭიროებდეს. *საკვლევი ობიექტის სკრინინგით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით საქმიანობის განხორციელების ფარგლებში გზშ-ს ანგარიშით დადგენილი ნორმებისა და შემარბილებელი ღონისძიებების დაცვა საკმარის პირობას წარმოადგენს. კომპანიის მიერ შემუშავებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად პერმანენტულად ხორციელდება ხმაურის დონის ინსტრუმენტული გაზომვები.*

5.3. წყლის გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი:

საქმიანობის ფარგლებში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საწარმოს წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლის მართვის საკითხები დარეგულელებული იქნება გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის შესაბამისად, მათ შორის:

- წყალმომარაგება განხორციელდება ლიზენზირებული ჰაბურდლილიდან;
- წყალი გამოიყენებული იქნება ღუმელებისა და ტრანსფორმატორების გაცივებისთვის (2710 მ³/წელ) და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის (5109,75 მ³/წელ);
- ღუმელებისა და ტრანსფორმატორების სისტემის გასაცეხლად გამოიყენებული წყალი არ საჭიროებს გაწმენდას და მუდმივად ჩართულია ბრუნვით სისტემაში;
- საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები გროვდება საწარმოს ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილ ორმოებში და ხორციელდება მისი პერიოდული გატანა, შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ.

საწარმოო ობიექტზე აღარ არსებობს სველი მტვერდამჭერი სისტემა, შესაბამისად - აღნიშნული მიზნობრივობით წყლის მოხმარების საჭიროება არ დგას, რაც ბუნებრივი რესურსის (წყლის) მოხმარების შემცირების თვალსაზრისით დადებით გარემოსდაცვით ხასიათს ატარებს.

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ გულისხმობს საწარმოს წალმომარაგების ან/და ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი წყლების მართვის საკითხების ცვლილებას. შედეგად - ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოსალოდნელი არ არის წყლის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდა, მათ შორის:

- სარეცხ-გამამდიდრებელი დანადგარის წყალმომარაგება განხორციელდება არსებული (ოთკამერიანი) სალექარიდან და აღნიშნული მიზნით დამატებით წყლის რესურსის ათვისების საჭიროება არ დგას;
- გამამდიდრებელი ხაზის ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, ნედლეულის გამამდიდრების დროს გამოიყენებული წყლი ბრუნდება ოთხკამერიანი სალექარში და მისი გავლით, კვლავ მიეწოდება ტექნოლოგიურ ციკლს;
- ღია სივრცეში განთავსებული ნედლეული განთავსებული იქნება შემოზვინულ სექტორებში, მობეტონებულ ადგილებზე და გადაფარებული იქნება წყალგაუმტარი საფარით, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს სანიაღვრე-წვიმის წყლების შესაძლო დაბინძურების რისკებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განსახილველი ობიექტის ოპერირება, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან ერთად, დაკავშირებული არ იქნება წყლის (ზედაპირული ან/და მიწისქვეშა) გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის საჭიროება არ დგას.

5.4. ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

განსახილველი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღწერილია საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის კონრეტული ღონისძიებები და ნარჩენების მართვის მიდგომები, მათ შორის შემუშავებულია საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა.

გზშ-ს ანგარიშის მიხედვით საწარმოო ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ზოგადი პრინციპები გულისხმობს:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვებას საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში და ქ. ზესტაფონის დასუფთავების სამსახურისთვის გადაცემას;
- საწარმოო ნარჩენის წიდის რეალიზაციას სხვადასხვა საწარმოებზე;
- საწარმოო წყლების გაწმენდის შედეგად წარმოქმნილი ნალექისა და მტვერდამჭერში დაჭერილი მანგანუმის შემცველი ნარჩენების ბრიკეტირებას და ღუმელში გამოსადნობად მიწოდებას;
- საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას და შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციისთვის (შპს „ეკო სერვის ჯორჯია“) გადაცემას. კომპანია ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად ახორციელებს ყოველწლიურ ანგარიშგებას სამინისტროსთან.

განსახილველი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის გათალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში შეიცვალა წარმოქმნილი ნარჩენების სახეობრივი-რაოდენობრივი მახასიათებლები და მართვის ღონისძიებები, რაც დარეგულირებული იქნა სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად (2021-20213), მათ შორის:

- საწარმოსთვის მეტალურგიული პროცესებიდან მიღებული წიდა არ წარმოადგენს ნარჩენს და მიღებული წიდა ბრუნდება ღუმელებში, როგორც მანგანუმის შემცველი ნედლეული. წიდა (მანგანუმის შემცველობით 20-30%) სამსხვრეველაში დამსხვრევის შემდეგ გამოიყენება კვლავ წარმოებაში, ხოლო მანგანუმის დაბალი შემცველი წიდა დამსხვრევის გარეშე ბრუნდება ღუმელებში ან/და გამოიყენება საამშენებლო ღორღის სახით;
- ტექნოლოგიების ობიექტის მოწყობით საწარმოში შეიცვალა სახიფათო ნარჩენების სახეობრივ-რაოდენობრივი მახასიათებლები. სახიფათო ნარჩენების მართვა, მათ შორის შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით, ხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ (N5985/01 წერილი; 15/06/2021).

მანგანუმის შემცველი მადნის გამამდიდრებელი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციას თან ახლავს „ფუჭი გრუნტის“ („კუდების“) დაგროვება. ნედლეულის გარეცხვა-გამდიდრების შედეგად დარჩენილი „კუდების“ გამოყენება დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიის ან/და მისასვლელი გზების მოსაპირკეთებლად. აღნიშნული ფუჭი გრუნტი რომელიც არასახიფათო ნარჩენს წარმოადგენს, ასევე შესაძლებელია გადაეცეს მუნიციპალიტეტს და გამოყენებული იქნეს საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელზე ნარჩენების გადაფარვის მიზნით ან/და სოფლის შიდა გზების და სხვადასხვა დაზიანებული უბნების მოსწორება-მოწესრიგების მიზნებისთვის;

ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების პრევენციის მიზნით კომპანია უზრუნველყოფს გზშ-ის ანგარიშით, ასევე გზდ-ს ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი პირობების მკაცრ კონტროლს/დაცვას, მათ შორის:

- მუდმივად უზრუნველყოფს საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, აღრიცხვას, დროებით უსაფრთხოდ განთავსებას და შემდგომი მართვის (გადამუშავება, გაუვნებლობა ან განთავსება) მიზნით, სათანადო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციებზე გადაცემას;
- მუდმივად უზრუნველყოფს საწარმო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სხვადასხვა შეუსაბამო მასალების სეპარირებულად შეგროვებას და შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციაზე გადაცემას;
- კომპანია განახორციელებს ნამუშევარი ზეთების მართვას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. ამასთან არ დაუშვებს კასრებში განთავსებული ნამუშევარი ზეთების ღია სივრცეში მოხვედრას და მუდმივად დაასაწყობებს შესაბამის (დახურულ) საწყობში - საწარმოო ობიექტს გააჩნია სახიფათო ნარჩენების დროებითი შესანახი დახურული ფართი;

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სპეციფიკის და ნარჩენების მართვის კუთხით საწარმოში დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელების კუთხით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის საჭიროება არ დგას და შესაბამისი (კანონმდებლობით დადგენილი) პერიოდულობით კომანიის ნარჩენების მართვის გეგმის განახლება, ასევე გზშ-ს ანგარიშით განსაზღვრული ნარჩენების მართვის ღონისძიებების შესრულება საკმარის გარემოსდაცვით პირობას წარმოადგენს.

5.5. სატრანსპორტო გადაზიდვებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

გზშ-ს ანგარიშის შესაბამისად საწარმოო ობიექტზე ნედლეულის შემოზიდვა ხორციელდება მხოლოდ რკინიგზის საშუალებით. გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა, შპს "ჯი თი ემ გრუპი" ნედლეულის საწარმოო ობიექტზე შემოტანის ალტერნატიულ ვარიანტად განიხილავს აგრეთვე სატვირთო ტრანსპორტის გამოყენებას. საწარმოში ნედლეულის შემოტანა გაგრძელდება რკინიგზის საშუალებით, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ნედლეულის ტრანსპორტირება განხორციელდება ასევე სატვირთო მანქანების საშუალებით. შესაბამისი საჭიროებიდან ან/და შექმნილი ფორსმაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე, ობიექტისთვის ნედლეულის უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად, ნედლეულის გადაზიდვები განხორციელდება, როგორც საავტომობილო, ისე სარკინიგზო გზით. ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში, ნედლეული ობიექტზე შემოვა ბათუმიდან ან/და ფოთიდან (იხ. რუკა N6).



ვინაიდან საწარმოში მოხმარებული ნედლეულის (იხ. ცხრილი N2) რაოდენობის ზრდა მოსალოდნელი არ არის და ტრანსპორტირება განხორციელდება ძირითადად ავტომაგისტრალის საშუალებით, ამასთან ტვირთების ორი ტიპს სატრანსპორტო საშუალებაზე (სარკინიგზო/საავტომობილო) გადამისამართება საშუალებას მოგვცემს, როგორც სარკინიგზო, ისე საავტომობილო გადაზიდვების რაოდენობის შემცირებას - შესაძლებელია დავასკვნათ რომ ნედლეულის საწარმოო ობიექტზე შემოტანის ალტერნატიულ ვარიანტად სატვირთო ტრანსპორტის გამოყენება, არ იქნება დაკავშირებული სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებიდან გამომდინარე სატრანსპორტო გადაზიდვები დაკავშირებული იქნება აგრეთვე მანგანუმის შემცველი „კუდებით“ საწარმოს მომარაგებასთან. მანგანუმის შემცველი მადნის („კუდების“) შემოტანა დაგეგმილია შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ ზესტაფონის ქარხნიდან, სატვირთო მანქანების საშუალებით. გადაზიდვები განხორციელდება ზესტაფონი-არგვეთის გზით (იხ. რუკა N6). სატრანსპორტო მარშრუტის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 3.5 კილომეტრს. მომსახურე დიდი სატვირთო მანქანის ტევადობა შედაგენდ დაახლოებით 35 ტონას. თვის განმავლობაში ობიექტზე შემოსატანი ნედლეულის მაქსიმალური რაოდენობისა (5000ტ-მდე), მანქანების ტვირთამწეობის და თვეში სამუშაო დღეების რაოდენობის (27 დღ) გათვალისწინებით დღეში განმავლობაში შესრულდება მაქსიმუმ 5 სატრანსპორტო ოპერაცია.



დღის განმავლობაში განხორციელებული გადაზიდვების მაქსიმული რაოდენობისა (5) და ობექტებს შორის მანძილის (3.5 კმ) გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელება დაკავშირებული არ იქნება გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, მათ შორის მოსახლეობის შეწუხებასთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, სატრანსპორტო გადაზიდვები სათანადო გარემოსდაცვითი პირობების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ხმაურის გავრცელებითა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელ გარემოზე ზემოქმედებასთან, მათ შორის მოსახლეობის შეწუხებასთან. სატრანსპორტო გადაზიდვებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა ან/და ხმაურის გავრცელების, მათ შორის მოსახლეობის შეწუხების მინიმუმაციის მიზნით გათვალისწინებული იქნება სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის:

- ✚ ხმაურის გავრცელების ან/და ამტკერების პრევენციის მიზნით დასახლებულ ზონებში შეიზღუდება სატვირთო ტექნიკის მოძრაობის სიჩქარეები;
- ✚ უზრუნველყოფილი იქნება სატვირთო მანქანების ტექნიკური გამართულობა - ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი საექსპლუატაციოდ არ დაიშვება;
- ✚ სატრანსპორტო გადაზიდვები განხორციელდება მხოლოდ დღის განმავლობაში;
- ✚ დაზიანებულ მისასვლელ გზებზე გადაადგილებით შექმნილი ხმაურის ან/და მტკვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით განხორციელდება მისასვლელი გზების საფარის კეთილმოწყობა;

- ✚ საწარმო ნედლეულით მომარაგების მიზნით ძირითადად გამოყენებული იქნება E60 მაგისტრალი;
- ✚ სატვირთო მანქანებიდან ნედლეულის ჩამოცლით შექმნილი ხმაურის ან/და მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, ტვირთების დაცლა უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი სიჩქარით;
- ✚ რაიმე ტიპის შეუსაბამობის არ არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნედლეულის რკინიგზის საშუალებით ტრანსპორტირებას;
- ✚ ტვირთის გადაზიდვა უზრუნველყოფილი იქნება მარაგადახული სატვირთო ტრანსპორტით;
- ✚ მშრალ და ქარიან ამინდებში პოტენციური ამტვერების უბნები, მათ შორის საწარმომდე მისასვლელი გზები, წყლით დაინამება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, მათ შორის განსაზღვრული ღონისძიებებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ რომ განსახილველი საქმიანობა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დაკავშირებული არ იქნება სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების საჭიროება არ დგას.

6. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი:

განსახილველი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილია (იხ. თავი 5) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების ალბათობისა და მათი მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების წინადადებები, მათ შორის განსაზღვრულია ავარიულ სიტუაცებში საკონტროლო ღონისძიებათა ჩამონათვალი და აღწერილია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

საწარმო აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდებით, შესაბამისი ინვენტარითა და წყლის ავზით. ავარიული რისკების პრევენციის მიზნით, სახიფათო უბნებზე გამოკრულია გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.

ობიექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით განსაზღვრული ღონისძიებების სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი არ არის საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიული ან/და კატასტროფული რისკების ზრდა/ცვლილება. საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით საქმიანობის განხორციელება არ განსხვავდება გზმ-ს ანგარიშში აღწერილი შესაძლო ავარიული რისკებისგან და დამატებითი ღონისძიებების დასახვის საჭიროება არ დგას. შესაძლო ავარიული რისკების მართვა განხორციელდება გზმ-ს ანგარიშში მოცემული გეგმის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მახასიათებლების და გზმ-ს ანგარიშით განსაზღვრული ღონისძიებების გათვალისწინებით

დგინდება, ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის წარმოშობის რისკები არ არსებობს. ობიექტზე სათანადო ნორმებისა და წესების, ამასთან გზშ-ს ანგარიშში მოცემული ღონისძიებების დაცვის პირობებში შესაძლებელი იქნება საწარმოს უსაფრთხო ოპერირება/ექსპლუატაცია.

ჯართის დამუშავების დროს დაცული იქნება სათანადო სტანდარტები, მათ შორის: ნავთობპროდუქტებით ან სხვა სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ჯართის იდენტიფიცირების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება რკინის ნარჩენების გატანა და შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა; ჯართის ჭრის უბანზე, გათვალისწინებული იქნება აალების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები და უბანზე მობილიზებული იქნება სათანადო სტანდარტის ცეცხლმაქრები.

7. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების სკრინინგი:

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებულ, მიმდინარე თუ დაგეგმილ ანალოგიურ პროექტებთან ერთად, ზემოქმედების თვალსაზრისით, შექმნის მნიშვნელოვან კუმულაციურ ეფექტს.

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ეფექტი, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, შესაძლებელია განხილული იქნეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებითა და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების ჭრილში, მეზობლად არსებული ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტთან მიმართებაში (რომელიც ექსპლუატაციაში 2023 წლის დასაწყისში შევიდა).

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ და შპს „ჯორჯია მეტალის“ საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ეფექტი დეტალურად იქნა შეფასებული შპს „ჯორჯია მეტალის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, სადაც განიმარტა შემდეგი გარემოებები:

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების იდენტიფიცირების მიზნით, შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის ფეროშენადნობთა საწარმოს ზდგ-ის ნორმების პროექტით იდენტიფიცირებული ფონური პარამეტრების გათვალისწინებით შპს „ჯორჯია მეტალის“ გზშ-ს ეტაპზე ჩატარებული იქნა მოდელირება - რომლის მეშვეობითაც განისაზღვრა დამაბინძურებელ, მათ შორის ჯამური ეფექტის მქონე ნივთიერებათა განზნევის არეალი. კვლევებმა აჩვენა, რომ სათანადო ეფექტურობის მქონე გამწმენდი ნაგებობის არსებობის პირობებში (რაც ორივე საწარმოო ობიექტს გააჩნია), ჯამური ეფექტის დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციები უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე არ გაცდებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს;

- შპს „ჯორჯია მეტალის“ გზშ-ის ეტაპზე ხმაურით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების განსაზღვრის მიზნით ჩატარდა გაზომვები “MASTECH” ტიპის MS 6700 ხმაურმზომით არსებული შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის ფეროშენადენობთა ქარხნის ტერიტორიაზე დასავლეთ საზღვართან (წერტილში, რომლის მიახლოებითი კოორდინატებია: X – 332892 ; Y – 4666294). განხორციელდა საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონისა და შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის ქარხნის ექსპლუატაციის დროს ხმაურის კუმულაციური ეფექტის გამოითვლები. განხორციელებული გამოთვლების შედეგად (იხ. შპს „ჯორჯია მეტალის“ გზშ-ის ანგარიშის 10.3.12 ქვეთავი) დადგინდა რომ ხმაურის საანგარიშო ჯამური დონე 27დბა იქნება, რაც მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედების არ არსებობის ფაქტზე მიუთითებს;
- საწარმო ობიექტებისთვის, როგორც შპს „ჯი თი ემ გრუპის“, ისე შპს „ჯორჯია მეტალისთვის“, ასევე მეზობლად არსებული სასათბურე მეურნეობისთვის, წყალაღება გათვალისწინებულია მიწისქვეშა ჰორიზონტიდან, სათანადო ლიცენზიების საფუძველზე. მიწისქვეშა ჰორიზონტის ინდივიდუალური ჭებიდან მარაგდება ასევე სოფ. არგვეთის მოსახლეობაც. აღნიშნული შესაძლო დაკავშირებული იყოს მიწისქვეშა წყლის გარემოზე კუმულაციურ ზემოქმედებასთან, თუმცა როგორც ეს შპს „ჯორჯია მეტალის“ გზშ-ის ანგარიშშია განმარტებული წყალაღების ობიექტები განთავსებულია მიწისქვეშა ჰორიზონტის უხვი კვების რეჟიმის ზონაში, ამდენად ჩამოთვლილი ობიექტების მიერ მისიქვეშა/გრუნტის წყლის ობიექტებიდან წყალაღება ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას წყალშემცველი ჰორიზონტის მდგომარეობაზე.

მნიშვნელოვანია განიმარტოს რომ შპს „ჯი თი ემ გრუპის“ საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი არ არის ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომელთა განხორციელება გაზრდიდა/შეცვლიდა არსებული კუმულაციური ეფექტის/ფონის მნიშვნელობას.

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში არ არის მოსალოდნელი გზშ-ს ანგარიშით განსაზღვრული შესაძლო ზემოქმედების სახეების/კომპონენტების ცვლილება, რასაც შესაძლოა გავლენა ექონია კუმულაციურ ეფექტზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკისა (რომელიც არ ითვალისწინებს გარემოზე დამატებით მნიშვნელოვან ზემოქმედების მომხდენი წყაროების/ობიექტების ექსპლუატაციას) და შპს „ჯორჯია მეტალის“ გზშ-ს ანგარიშში მოცემული განმარტებების საფუძველზე შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქმიანობის განხორციელება, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დაკავშირებული არ იქნება გარემოზე მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან და აღნიშნული მიმართულებით დეტალური კვლევების განხორციელების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის საჭიროება არ დგას.

8. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება:

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგით დგინდება, რომ საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, დაგეგმილი ცვლილებების მახასიათებლებიდან გამომდინარე არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა არ შეიძლება ჩაითვალოს „მასშტაბურად“. გზმ-ს ანგარიშით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებით/დაცვით საქმიანობა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, გარემოზე მაღალ შეუქცევად ზემოქმედებას პრაქტიკულად ვერ გამოიწვევს.

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სკრინინგის პროცედურის ფარგლებში არ გამოვლენილა ისეთი ზემოქმედების სახეები/წყაროები, რომელ(ებ)იც ზემოქმედების მაღალი მნიშვნელობით ხასიათდება და დამატებით დეტალურ შეფასებას ან/და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასხვა-განხორციელებას საჭიროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის სკრინინგის ანგარიშის მე-5, მე-6 და მე-7 თავებში წარმოდგენილი განმარტებების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებასთან დაკავშირებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება ფაქტობრივ საჭიროებას მოკლებულია / გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების (გზმ-ს) პროცედურის ჩატარების საფუძველი არ არსებობს.

მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს რომ შპს „ჯი თი ემ გრუპი“ იღებს პასუხისმგებლობას საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 30 მაისის №2-462 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 27 თებერვლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) და გზმ-ს ანგარიშით განსაზღვრული პირობების მკაცრი დაცვით, წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით. ამასთან - იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი საწარმო წარმოდგენს ე.წ სანებართვო ობიექტს, რომელსაც დაკისრებული აქვს სხვადასხვა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობები და შესაბამისად ექცევა საწარმოსთვის განსაზღვრული გარემოსდაცვითი რეგულაციების ფარგლებში, შესაძლებელია დავასკვნათ რომ - ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საწარმოს საქმიანობა, განახლებული გზმ-ს ანგარიშის შემუშავების საჭიროების გარეშე მარტივად შესაძლებელია იქნას დარეგულირებული/მართული შესაბამისი მაკონტროლებელი ადმინისტრაციული ორგანოების/უწყებების მიერ (სხვადასხვა გარემოსდაცვითი სავალდებულო დოკუმენტაციის განახლების გზით).

შპს "ჯი თი ემ გრუპ"-ს მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხანა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 30 მაისის №2-462 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 27 თებერვლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული ვალდებულებებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, დეპარტამენტის მიერ 2023 წლის 29 ივნისს შემუშავებული იქნა №003191 ადმინისტრაციული

მიწერილობა. შპს "ჯი თი ემ გრუპი" აცნობიერებს რა მის მიმართ წაყენებული ვალდებულების იურიდიულ ძალას და გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული პირობის შესრულების მნიშვნელობას, მზადაა ეტაპობრივად უზრუნველყოს ობიექტის გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

9. დანართები:

დანართი N1	ძირითადი ინფრასტრუქტურული ერთეულები
დანართი N2	სამართლებრივი პროცედურები შპს "ჯი თი ემ გრუპი"-ს მიმართ
დანართი N3	საწარმოო ტერიტორიის საკადასტრო ერთეულების გეგმები
დანართი N4	ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

დანართი N1

